ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N48

ქ.თბილისი

8 ნოემბერი, 2019 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ირაკლი ზარქუა

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე
გიორგი დოხტურიშვილი
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
დათო ჟღენტი
ნინო რუხაძე
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე
ილია ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მერაბ მამულაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ჯუმბერ ყანდარელი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი ნინო კვეტენაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ილია ჯიშკარიანმა ისაუბრა მის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, რასაც „დაგეგმილი პროვოკაცია" უწოდა და განაცხადა, რომ „ეს ყველაფერი ხდება ჩემი დისკრედიტაციისთვის". აღნიშნა, რომ მიმდინარეობს გამოძიება, რომლის დასრულებამდე ვერაფერს იტყვის, თუმცა ელოდება სასამართლოს დასრულებას, რათა აღდგეს მისი რეპუტაცია კოლეგების, ოჯახის, მეგობრების და საზოგადოების წინაშე.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ისაუბრა თბილისის რამდენიმე რაიონში უფასო სასადილოებისთვის დაფინანსების შემცირებაზე და აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებული სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, უფასო სასადილოების დაფინანსების გაზრდა გასაკვირი არ იქნებოდა, თუმცა გაუგებარია შემცირების მიზეზი, თითქოს ეს ხდება რაოდენობის კლების გამო. აღნიშნა, რომ ეს საკითხი საჭიროებს დეტალურ კვლევას და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებისგან მოითხოვა პასუხი, თუ რატომ კლებულობს მომხმარებელი უფასო სასადილოებში იმ ფონზე, როდესაც დედაქალაქში იმატა გაჭირვებული ადამიანების რიცხვმა.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე მისი კოლეგის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ ტენდერებში იმარჯვებენ მერიისთვის სასურველი კომპანიები, მოჰყვა პოლემიკა, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს. ირაკლი ნადირაძემ, მისი კოლეგის სიტყვების დასტურად, ისაუბრა გარე განათებების შესყიდვაზე, როდესაც ირაკლი ზარქუა ამბობდა, რომ რამდენიმე მილიონი, ერთ პირთან მოლაპარაკებთ, იტალიურ კომპანიაზე იხარჯებოდა იმიტომ, რომ ეს იყო მაღალი ხარისხის განათებები და რამდენიმე წლის განმავლობაში აღარ იქნებოდა საჭირო ახლის ყიდვა. თუმცა, გარე განათებების შესყიდვაზე, 2019 წლის 30 აგვისტოს გამოცხადდა ტენდერი, რომელიც კონკურენციის გარეშე, მოიგო ისევ მილანურმა კომპანიამ, რასთან დაკავშირებითაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ტენდერში სხვა კომპანიამ არ მიიღო მონაწილეობა. მისი თქმით, სწორედ აქ ისმის მთავარი კითხვა, რადგან ტენდერის გამოცხადებასთან ერთად, მერია ვალდებულია ატვირთოს სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „თბილსერვის ჯგუფის" მიერ ატვირთული გარე განათების სურათები, იტალიური კომპანიის საიტზე არსებული სურათების იდენტურია. ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ეს არის ტენდერის მორგება კონკრეტულ კომპანიებზე და სწორედ ასეთი კორუფციული გზებით ხდება თანხების გადინება მილანში, რაც ბადებს ეჭვს და ვარაუდს თუ „ვის ჯიბეში მიდის ეს ფული". ირაკლი ნადირაძემ, კახა კალაძის განცხადებაზე, რომ ტაქსებს, რომლებსაც თეთრად შეღებვის შემდეგ, ე.წ. ბამპერი დარჩა შავი, ისიც თეთრად უნდა შეიღებოსო, განაცხადა, რომ ქალაქში არსებული სატრანსპორტო, საცობების, პარკირების, ინფრასტრუქტურული, დასაქმების, ჯანდაცვისა და სოციალური პრობლემების ფონზე, უკეთესი იქნება ვიფიქროთ ადამიანების პრობლემების მოგვარებაზე და მათზე ორიენტირებული პროექტების შემუშავებაზე.

ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის მიმართულება მცირდება 11 მილიონი ლარით იმ მოტივით, რომ გარკვეული პროექტები ვერ განხორციელდა შესაბამის ვადებში ან კარგად ვერ დაიგეგმა და დაინტერესდა, როგორ შეიძლება ვერ აითვისო 11 მილიონი ლარი ქალაქში, სადაც ყველასთვის ნათელია თუ რამდენი პრობლემაა ინფრასტრუქტურის მიმართულებით. ისაუბრა სარეკლამო ხარჯის ზრდაზე და განაცხადა, რომ ხელისუფლებას ჰგონია „რაც მეტ პიარს გააკეთებს, მაცივრები ამით აივსება". სკვერების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვადაში არც ერთი სამუშაო არ სრულდება, თუმცა როდესაც ამ პრობლემებზე საუბრობს, ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ოპოზიცია ტყუის. საუბრის ბოლოს, ლევან ხაბეიშვილმა სხდომაზე წარადგინა დოკუმენტაცია, რომლის

თანახმადაც, საკრებულოს წევრის, ირაკლი ზარქუას ოჯახის წევრს 2016-2017 წლებში, მიწის ლეგალიზაციის კომისიამ, ფაქტობრივად უფასოდ გადასცა 700000 ლარის ღირებულების ორი მიწის ნაკვეთი, რის შემდეგაც, პირობითი აუქციონით, შეიძინა კიდევ ერთი მიწის ნაკვეთი ვალდებულებით, რომ განახორციელებდა 100000 ლარის ინვესტიციას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არ შეასრულა აღნიშნული ვალდებულება, მთავრობამ არათუ ჩამოართვა მიწის ნაკვეთი, არამედ გაუგრძელა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადა. ლევან ხაბეიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ირაკლი ზარქუა, გააკეთებს განმარტებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ილია ჯიშკარიანისგან ელოდა საკრებულოს წევრის მანდატის დატოვებას, თუმცა, როგორც თავად განაცხადა, მის მიმართ განვითარებული მოვლენები ყოფილა „დისკრედიტაცია და არაფერი მომხდარა" მაშინ, როდესაც მას დაუდასტურდა მინიმუმ ის ფაქტები, რომ სამუშაო საათებში იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ და ფიზიკურად იძალადა მისივე თანამშრომელზე. ლილე ლიპარტელიანის თქმით, უკეთესი იქნებოდა, ილია ჯიშკარიანს, გამოძიების დასრულებამდე, შეეჩერებინა უფლებამოსილება, თუმცა დღეს ის იმყოფება საკრებულოს სხდომაზე. მან ფრაქციის სახელით გააკეთა განცხადება, რომ სხდომაში, რომელსაც ესწრება ილია ჯიშკარიანი, ფრაქცია მონაწილეობას არ მიიღებს. ლილე ლიპარტელიანის განცხადების შემდეგ, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრებმა დატოვეს სხდომა.

ირაკლი ზარქუამ, საახალწლო ილუმინაციების შესყიდვასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების საპასუხოდ, ისაუბრა 2009-2011 წლებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით დახარჯულ თანხებზე და განაცხადა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ყოველწლიურად უფრო მეტ თანხას ხარჯავდნენ საახალწლო ილუმინაციებზე, „მორალს გვიკითხავენ". მისი თქმით, საახალწლო ღონისძიებები სჭირდება დედაქალაქს და ის, რომ ამ მიმართულებით მერია ყველაფერს სწორად აკეთებს, ჩანს პარტიის რეიტინგში. რაც შეეხება იმას, რომ ამ მიმართულებით ჩატარებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა კომპანიამ, აღნიშნა, რომ ნებისმიერი ტენდერი არის საჯარო და ყველას აქვს შესაძლებლობა ნახოს, რომ ხელისუფლება აქცენტს აკეთებს ხარისხზე, რათა შესყიდვა იყოს გრძელვადიანი. მისი თქმით, წინა წლებში შეძენილი საახალწლო ილუამინაციები გადანაწილდება თბილისის სხვადასხვა უბნებში, რათა ყველგან ერთნაირად იგრძნობოდეს ახალი წელი. ირაკლი ზარქუამ, მისი ოჯახის წევრისთვის მიწის ნაკვეთების გადაცემასთან დაკავშირებით ლევან ხაბეიშვილის განცხადებას „მორიგი სპექტაკლი" უწოდა, რადგან მისი მეუღლის ოჯახი იმ ტერიტორიაზე ცხოვრობს 1977 წლიდან და მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით, მიწის ლეგალიზაციის კომისიას მიმართეს 2015 წელს, როდესაც ირაკლი ზარქუა პოლიტიკაში ჯერ კიდევ არ იყო. კომისიის მიერ საკითხის შესწავლის შემდეგ, გადაწყდა მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა, თუმცა არა უფასოდ, როგორც ამას ლევან ხაბეიშვილი ამბობს, არამედ უძრავ ქონებაში გადახდილია მიწის ნორმატიული ფასი, რისი დასტურიც არის შესაბამისი ქვითრები.

გიორგი ტყემალაძის თქმით, ოპოზიციამ კარგად იცის, რომ კანონი ითვალისწინებს მიწის ლეგალიზებას იმ ადამიანებზე, რომლებიც წლების განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ ამა თუ იმ მიწის ნაკვეთით და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ფიზიკური პირი არის თუ არა თანამდებობის პირის ან პოლიტიკოსის ახლობელი და სწორედ ამის დასტურია წლების განმავლობაში ათიათასობით ადამიანისთვის დაკანონებული მიწის ნაკვეთი.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ერთობლივი ძალებით მოახერხა დედაქალაქში არსებული ბევრი პრობლემის მოგვარება. თუმცა, ქალაქში კიდევ უამრავი გამოწვევაა და იმისთვის, რომ ხვალინდელი თბილისი იყოს უკეთესი, თბილისის მერი, მერიის საქალაქო სამსახურები და საკრებულოს თითოეული წევრი ყველაფერს აკეთებს. მისი თქმით, თბილისის ხელისუფლება შემოიყვანს კიდევ უფრო მეტ ავტობუსს, უფრო მეტად გაიმართება სატრანსპორტო პოლიტიკა, კიდევ უფრო მეტად დაეხმარება იმ ადამიანებს, რომლებსაც ყველაზე მეტად უჭირთ. გიორგი ჩაკვეტაძემ, ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე განაცხადა, რომ კახა კალაძე ყოველდღიურად დადის

თბილისის სხვადასხვა რაიონებში და ეცნობა იქ მიმდინარე სამუშაოებს. ისაუბრა ასევე, სოციალურ საკითხებზე და აღნიშნა, რომ 200 მილიონამდე თანხა მიმართულია იქითკენ, რომ თითოეული ჩვენი თანაქალაქელი ცხოვრობდეს უკეთ, რისი დასტურიც არის ამ მიმართულებით არსებული პროგრამები. მისი თქმით, ქალაქი ქაოტური განაშენიანებიდან გადავიდა გეგმაზომიერ და კონცეპტუალურ განვითარებაზე, თუმცა, ეს ყველაფერი არ არის საკმარისი, „ქალაქი უნდა გადავიდეს განვითარების ახალ ეტაპზე... ჩვენი ქალაქი იქნება სიცოცხლით სავსე ქალაქი".

დათო ჟღენტმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილებებით წარმოდგენილია უფასო სასადილოებისთვის დაფინანსების შემცირება და დაინტერესდა, რატომ ხდება თანხის შემცირება მაშინ, როდესაც გლდანის რაიონის გამგეობიდან მიღებული დოკუმენტის თანახმად, დამატებით სიაში არის 475 ბენეფიციარი, ხოლო მომლოდინეთა სიაში - 100 ბენეფიციარი და ზოგადად, თბილისის მოსახლეობის მთავარი პრობლემა არის შიმშილი.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ ხედავს ინსტიტუციური წესრიგის დარღვევის რეალურ საფრთხეს, რადგან მის მიერ, გასული პერიოდის განმავლობაში წამოჭრილ არაერთ საკითხზე, მათ შორის, გაუმართლებელ სამშენებლო ნებართვებზე, გრგ-ებზე, მიწის მონაცვლეობებზე და სხვა, რომლებშიც შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა კორუფციულ გარიგებებს, არა თუ შესაბამისი რეაგირება, არამედ ადეკვატური პასუხიც კი არ გაუცია ხელისუფლებას. მისი თქმით, ერთადერთი პასუხი ამ ყველაფერზე არის ის, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა ქალაქის მიერ არაადეკვატური და არასამართლიანი ფასის გადახდა კონკრეტული პირების საკუთრებაში მიწის ნაკვეთების მონაცვლეობისას. ასევე, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა ისეთი გრგ-ების გაცემა და დამტკიცება, რომლებიც არ შეესაბამება არც ქალაქგეგმარებით პრინციპებს, არც ჩვენს მიერ გაცემულ დაპირებებს და ჩვენი მოქალქეებისთვის საფრთხის შემცველია. ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, ასევე, მნიშვნელოვანია გარე რეკლამასთან დაკავშირებული საკითხი, რაც პირდაპირ კავშირშია აზარტულ თამაშებთან და არის ნიშნები, რომ ქალაქის მერი ჩართულია აზარტული თამაშების პოპულარიზაციაში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს წევრებს, მოიწვიონ ქალაქის მერი და მისგან მოისმინონ პასუხები ბევრი მიმართულებით დაგროვებულ სამართლიან კითხვებზე.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ქალაქის მერს კითხვებზე პასუხის გაცემისგან არასდროს აურიდებია თავი, იგი არაერთხელ წარდგა საკრებულოს წინაშე და მომავალშიც, საკრებულოს რეგლამენტის დაცვით, მოვისმენთ მის ანგარიშს და კითხვებზე პასუხს.

თამარ ტალიაშვილმა, ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ განცხადებებს „აბსურდული" უწოდა, რადგან ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სკვერებთან დაკავშირებით მიმდინარეობს განსაკუთრებული გამწვანების პროექტები და ამას ამჩნევს მოსახლეობაც. რაც შეეხება საახალწლო განათებებს, ის ახალი წლის კულტურული ღონისძიებების ერთ-ერთი ნაწილია და ძალიან სამწუხაროა, რომ ოპოზიცია ცდილობს ყველგან შეიტანოს ნეგატივი.

ბექა დავითულიანმა, უფასო სასადილოებისთვის დაფინანსების შემცირებაზე განმარტა, რომ აღნიშნული განპირობებულია აგვისტოს თვეში არსებული ეკონომიით, რაც გამოუწვეული იყო იმით, რომ ამ პერიოდში მოსახლეობა გადის ქალაქიდან. თუმცა, სასურველია საკითხის დეტალური განხილვა, რათა გაირკვეს, არის თუ არა შესაძლებელი, რომ ეკონომიით გამოთავისუფლებული თანხის მიმართვა მოხდეს იმ რაიონში, სადაც ამის საჭიროებაა. საახალწლო განათებებთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში იტალიური კომპანიის გამარჯვებაზე განაცხადა, რომ „სასაცილოა" ნებისმიერი იტალიური კომპანიის გამოჩენა დააკავშირო კახა კალაძის სახელთან. მისი თქმით, „ახალი წელი არის ქვეყნის მთავარი დღესასწაული" და უამრავი პრობლემის და გაჭირვების მიუხედავად, უნდა ვიზეიმოთ. ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ ყველას აქვს უფლება, გაჭირვების პარალელურად რაღაც უხაროდეს და ხელისუფლება, მოსახლეობისთვის საზეიმო განწყობის შესაქმნელად, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურს გააკეთებს არა მხოლოდ წელს, არამედ ყოველ მომდევნო წელსაც.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

7. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: მერაბ მამულაშვილი

9. „ქალაქ თბილისში, 26 მაისის მოედანი N2-ის მიმდებარედ არსებული 158 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.10.17.036.047) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016"-ისთვის" (ს/ნ.: 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

10. „ქალაქ თბილისში, ს.ცინცაძის ქ.N12-ის მიმდებარედ არსებული 524 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.10.17.005.036) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კოფი დისტრიბიუშენ ჯორჯიასთვის" (ს/ნ.: 405283928) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

11. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.18.03.062.008) 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის"(ს/ნ.: 404497665) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

12. „ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.017.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

13. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივის IV კვარტლის კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.014.01.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

14. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივის I კვარტლის კორპუსი N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

15. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონის კორპუსი N19-ში (ნაკვეთი 07/029) (საკადასტრო კოდი: N01.19.20.007.029.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

16. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.519.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

17. „ქალაქ თბილისში, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33/ქალაქ თბილისში, ალ.ჭავჭავაძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.011.003.01.556) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

18. „ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, ლუბლიანას ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.02.005.003.01.510) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

19. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.084.01.519) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

20. „ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი X, ქუჩა კალოუბანი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ სკვერში არსებული 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.190) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

22. „ქალაქ თბილისში, ელეფთერ ანდრონიკაშვილის I შესახვევის N47-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.011.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

23. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონის კორპუსი N27ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.203) არსებული 2126.82 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

24. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ.: N01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

25. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

26. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

28. „ქ.თბილისში, გლდანში, ქერჩის ქუჩა N6 და N6ა-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.168; N01.11.05.029.167; N01.11.05.029.212 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

29. „ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონში, თვალჭრელიძის ქ. N2-ში არსებულ N009/023 მიწის ნაკვეთზე სავაჭრო კომპლექსის ასაშენებლად მომზადებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 30 იანვრის N01/211 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული 100000000 ლარის ტრანსფერით, საიდანაც 74820000 ლარით გადაიფარება საკრედიტო ხაზი, ხოლო 25180000 ლარი მოხმარდება ტრანსპორტის მიმართულებით დაგროვილი დღგ-ს დაფარვას და მეტროს ვაგონების რეაბილიტაცია-მოდერნიზაციას.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ წარმოდგენილია ბიუჯეტის ზრდა 25 მილიონი ლარით, რომელიც მოხმარდება დედაქალაქის საჭიროებებს და ცენტრალურ ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა, გვერდში დგომისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ დედაქალაქის ტერიტორიაზე ტაქსით გადაყვანა სანებართვო პირობების დარღვევით ან ნებართვის გარეშე, გამოცხადდა სამართალდარღვევად, რაზეც ადმინისტრირებას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში ასეთ სუბიექტად განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური. აღნიშნული უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელების მიზნით, წარმოდგენილი პროექტით, ზემოთხსენებულ სამართალდარღვევებზე საქმეების განხილვის უფლებამოსილება ენიჭება ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, ახლებურად მტკიცდება საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, რომლის სისწორე შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ" და „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" კანონებით განსაზღვრული მიზნებისა და მოთხოვნების აღსრულებით. კერძოდ, ზემოთხსენებულ კანონებში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის ფუნქციებს ემატება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში უზრუნველყოს შრომისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროებში კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ „ინფორმაციული უსაფრთხოების

შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაჩნდა ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის ფუნქციის განხორციელების საჭიროება და აქედან გამომდინარე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში არსებული ერთი საშტატო ერთეულის ვაკანსია გადაკეთდება პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტად და დაექვემდებარება სამსახურის უფროსს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ფუნქციებიდან ე.წ. წითელი ხაზების ფუნქცია გადაეცა „ქონების მართვის სააგენტოს“ და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით ტაქსით გადაყვანის სანებართვო პირობებს ემატება პირობა, რომლის მიხედვითაც, ნებართვის მფლობელი ვალდებულია, რომ სატრანსპორტო საშუალება ვიზუალური შემოწმებით აკმაყოფილებდეს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მერაბ მამულაშვილმა. განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები განპირობებულია მოსახლეობის მოთხოვნებიდან და დედაქალაქში არსებული რეალობიდან გამომდინარე და დეტალურად ისაუბრა პროექტით წარმოდგენილ მარშრუტებზე.

შალვა ოგბაიძემ, ამომრჩევლების სახელით, მადლობა გადაუხადა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და პირადად მერაბ მამულაშვილს გაწეული მუშაობისთვის. მისი თქმით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა ხელს შეუწყობს სოფ.გლდანს, რომელიც შემოერთებული ტერიტორიაა, გახდეს „დედაქალაქის სრულუფლებიანი წევრი“, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

გიორგი დოხტურიშვილმა მადლობა გადაუხადა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობას, რადგან წარმოდგენილი ცვლილებებით, დამატებით რამდენიმე ათასი მოქალქე შეძლებს ავტობუსით მგზავრობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და მისასალმებელია.

ლევან ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მისასალმებელია, როდესაც მოსახლეობის საკეთილდღეოდ ხორციელდება ესა თუ ის პროექტი და დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია, რომ თხინვალასა და აგარაკების დასახლებაში მოძრავი სამი ავტობუსიდან (N63, N29 და N107) რომელიმე ავტობუსის სამოძრაო მარშრუტში განხორციელდეს ცვლილება და გაიაროს ავთო ვარაზის ქუჩაზე. მისი თქმით, აღნიშნულ ცვლილებას ერთ წელზე მეტია ითხოვს ადგილობრივი მოსახლეობა.

მერაბ მამულაშვილმა განმარტა, რომ ზემოთხსენებულ მარშრუტებზე, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ავტობუსების განახლება, რის შემდეგაც, გამოთავისუფლებული და ექსპლუატაციისთვის ვარგისი ავტობუსების გამოყენებით, შესაძლებელი იქნება ახალი მარშრუტების დაგეგმვა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, 26 მაისის მოედანი N2-ის მიმდებარედ არსებული 158 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.10.17.036.047) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016“-ისთვის“ (ს/ნ.: 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, ს.ცინცაძის ქ.N12-ის მიმდებარედ არსებული 524 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.10.17.005.036) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კოფი დისტრიბიუშენ ჯორჯიასთვის" (ს/ნ.: 405283928) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.18.03.062.008) 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის"(ს/ნ.: 404497665) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.017.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, წარმოდგენილია ერთი ოჯახისთვის 58 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივის IV კვარტლის კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.014.01.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის

ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთი პირისთვის 49 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 1992 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივის I კვარტლის კორპუსი N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია სამი ოჯახისთვის 186 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 10 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონის კორპუსი N19-ში (ნაკვეთი 07/029) (საკადასტრო კოდი: N01.19.20.007.029.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთი ოჯახისთვის 98 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 10 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.519.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთი ოჯახისთვის 58 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33/ქალაქ თბილისში, ალ.ჭავჭავაძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.011.003.01.556) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 51 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც ხანგრძლივი პერიოდია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. აღსანიშნავია, რომ მოქალაქე არის დევნილი და ფართის გადაცემის სანაცვლოდ, უარს ამბობს სახელმწიფოს მიერ მის წინაშე აღებულ ვალზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, ლუბლიანას ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.02.005.003.01.510) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთი პირისთვის 43 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 1998 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.084.01.519) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთი პირისთვის 56 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 30 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი X, ქუჩა კალოუბანი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ სკვერში არსებული 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.190) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ტაძრის მშენებლობის მიზნით და შეზღუდვით, რომ ვერ შეძლებენ მესერის მშენებლობას.

გიორგი დოხტურიშვილმა მიულოცა საცხოვრებელი ფართების საკუთებაში გადაცემა იმ ოჯახებს, რომლებიც წლებია ცხოვრობენ ამა თუ იმ მისამართზე და მადლობა გადაუხადა ყველა სამსახურს, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტაში. წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ტაძრის მშენებლობა წლების განმავლობაში იყო მიტოვებული და მშენებლობის გაგრძელება მისასალმებელია, რადგან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საპატრიარქოსთვის ერთი ერთეული ავტობუსის გადაცემა, მრევლის გადაადგილების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისში, ელეფთერ ანდრონიკაშვილის I შესახვევის N47-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.011.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ოთხი ოჯახისთვის, ხუთი ერთეული, ჯამში 226 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონის კორპუსი N27ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.203) არსებული 2126.82 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 21 ოჯახისთვის, 2126 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 1998-2008 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ.: N01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ ფართის გადაცემა ხდება 2 წლის ვადით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ ამ ეტაპზე, განსახილველად წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-031929093-03 თარიღი: 17.10.2019; N12-03193056-03 თარიღი: 01.11.2019; N12-031930918-03 თარიღი: 05.11.2019 და N12-031931140-03 თარიღი: 07.11.2019. წერილებით, ტექნიკური ხასიათის ცვლილებებთან ერთად, წარმოდგენილია ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული 10 პოზიცია, რომლებიც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, დადებითად შეფასდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა. განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია დედაქალაქის არსებული ურბანული განვითარებისთვის ახალი განაშენიანების რეგულირების პრინციპების დადგენით და დეტალურად ისაუბრა პროექტით წარმოდგენილ ცვლილებებზე და მათ საჭიროებებზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ სივრცითი დაგეგმარების სფეროს მარეგულირებელმა კანონმდებლობამ აკრძალა კ2 კოეფიციენტის გადამეტება და აქედან გამომდინარე, გაუქმდა სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისთვის დადგენილი მოსაკრებელი. აღსანიშნავია, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს შეუძლია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის გამოიყენოს გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებები, მათ შორის, კ2 კოეფიციენტის გადამეტება. იქიდან გამომდინრე, რომ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულება არის ერთ-ერთი პრიორიტეტი, ამ მიზნით გაცემული კ2 კოეფიციენტის შემთხვევაში, არ მოხდება მოსაკრებლის გადახდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქ.თბილისში, გლდანში, ქერჩის ქუჩა N6 და N6ა-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.168; N01.11.05.029.167; N01.11.05.029.212 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ საპროექტო

ტერიტორია მოიცავს 3 მიწის ნაკვეთს, სადაც დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსება. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მიწის ნაკვეთი წარმოადგენს თვითმმართველის საკუთრებას და პროექტის განხორციელებით არ მოხდება ამ საკადასტრო ერთეულის სამშენებლო პოტენციალის გაუარესება. იქიდან გამომდინარე, რომ განცხადება წარდგენილია კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების განხორციელებამდე, პროექტი ასევე, ითვალისწინებს კოეფიციენტების მატებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

29. „ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონში, თვალჭრელიძის ქ. N2-ში არსებულ N009/023 მიწის ნაკვეთზე სავაჭრო კომპლექსის ასაშენებლად მომზადებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 30 იანვრის N01/211 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია 3 ერთეული შენობის ნაცვლად, ერთი და იგივე მოცულობის შენობის განთავსება და ავტოსადგომების დამატება, რაც არ იწვევს ჯამური კოეფიციენტის ცვლილებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 11 დადგენილება და 18 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ტყემალაძე